



**სსიპ ევგენი ხარაძის ეროვნული
ასტროფიზიკური ობსერვატორია**

მთა ყანობილი
0301 დაბა აბასთუმანი, საქართველო
47/57 მ. კოსტავას ქუჩა
0179 თბილისი, საქართველო
(+995) 595 011 686; info@abao.ge
www.abao.ge

06/10/2025



MES 9 25 0001283580

**საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის
მინისტრს, გივი მიქანაძეს**

ბატონო გივი,

მოგესხნებათ, სსიპ – საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის (შემდეგში - "ობსერვატორია") მთავარი კვლევითი საქმიანობა ეფუძნება ოპტიკური ასტრონომიის მეთოდებს, რაც მოითხოვს უკიდურესად სტაბილურ, სუფთა და დაბნელებულ ატმოსფეროს.

ბოლო პერიოდში აბასთუმნის ცაზე საჰაერო მოძრაობის ინტენსივობამ საგრძნობლად იმატა, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაუარესდა ატმოსფერული პირობები, რომლებიც კრიტიკულად მნიშვნელოვანია ასტრონომიული დაკვირვებების ჩასატარებლად. საჰაერო ფრენების გაზრდილმა რაოდენობამ გამოიწვია ატმოსფეროში წყლის ორთქლისა და ატმოსფერული აეროზოლების კონცენტრაციის მატება. თვითმფრინავების გამონაბოლქვი ქმნის კონდენსაციის ბილიკებს, რომლებიც დროთა განმავლობაში იფანტება და წარმოშობს ღრუბლისებრ ფენებს. აღნიშნული პროცესი იწვევს ცის ფონური ნათების ზრდას, სინათლის გაფანტვას და ხილვადობის მნიშვნელოვნად შემცირებას.

ზემოთ აღწერილმა პროცესებმა გამოიწვიეს ასტრონომიული დაკვირვებების სიზუსტისა და ხარისხის საგრძნობი დაქვეითება. ხშირია შემთხვევები, როდესაც შეუძლებელი ხდება ზუსტი სპექტროსკოპიული და ფოტომეტრიული დაკვირვებების განხორციელება, რაც ხელს უშლის ობსერვატორიის ძირითად სამეცნიერო საქმიანობას და ზღუდავს საერთაშორისო თანამშრომლობის გაგრძელებას.

აღსანიშნავია, რომ საკითხმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა 2025 წელს, როდესაც ექსპლუატაციაში შევიდა ობსერვატორიის ახალი, 1.5 მეტრიანი ტელესკოპი - ASA15, რომლის ოპტიმალური ფუნქციონირება განსაკუთრებით მაღალი ხარისხის ატმოსფერულ პირობებზეა დამოკიდებული.

ასტრონომიული ობსერვატორიების ცაზე საჰაერო ნავიგაციის შეზღუდვა წარმოადგენს საერთაშორისოდ მიღებულ პრაქტიკას, რომელიც მოქმედებს მსოფლიოს მრავალ წამყვან ობსერვატორიაში. აღნიშნულ ობიექტებზე საჰაერო ნავიგაციის სპეციალური შეზღუდვები უზრუნველყოფს ატმოსფერული გამჭვირვალობისა და სტაბილურობის შენარჩუნებას, რაც აუცილებელია მაღალი სიზუსტის ასტრონომიული დაკვირვებებისთვის.

გთხოვთ, ასტრონომიული დაკვირვებებისთვის ატმოსფეროს გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, გვიშუამდგომლოთ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში აბასთუმნის ცაზე ფრენების შეზღუდვის დაწესების მიზნით.

„საქართველოს საჰაერო სივრცის სტრუქტურისა და დიზაინის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №660 დადგენილების 21-ე მუხლის საფუძველზე, თანდართული ფორმით წარმოგიდგენთ საჰაერო სივრცის ცვლილების შესახებ განაცხადს.

დანართი: 2 გვერდი.

პატივისცემით,

ალექსანდრე თევზაძე

დირექტორი



1. მონაცემები ორგანიზაციის შესახებ

განმცხადებელი პირი	✓		
ორგანიზაციის იურიდიული დასახელება:	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო		
ტელ:	✓	ელ. ფოსტა:	✓

2. განაცხადის წარდგენის მიზეზი

საქმიანობა ან ღონისძიება:	ატმოსფეროს გამჭვირვალობის უზრუნველყოფა ასტრონომიული დაკვირვებებისთვის
---------------------------	---

3. აღნიშვნის დეტალები

სმმ-ს საჰაერო სივრცე		
<ul style="list-style-type: none"> საფრენოსნო ინფორმაციის რაიონი 	სამეთვალყურეო რაიონი	სამეთვალყურეო არე
სააეროდრომო მოძრაობის არე	საფრენოსნო საინფორმაციო არე	სააეროდრომო საფრენოსნო საინფორმაციო არე
სპეციალური დანიშნულების საჰაერო სივრცე		
ფრენისათვის აკრძალული არე	<ul style="list-style-type: none"> ფრენისათვის შეზღუდული არე 	ფრენისათვის სახიფათო არე
ფრენისათვის გამაფრთხილებელი არე	სხვა:	
დიზაინი		
სმმ-ს მარშრუტი	სხ სტანდარტული სამიმოსვლო მარშრუტი	სხ გადართვის წერტილი
ძირითადი წერტილი	ვიზუალური წერტილი	სხვა:
სტატუსი:	<ul style="list-style-type: none"> მუდმივად დროებით 	
გააქტიურება: დრო და ხანგრძლიობა		
<i>(მოუთხოვთ დრო UTC-ის მიხედვით ან ადგილობრივი დრო, ან აქტიურია დღის განმავლობაში ან NOTAM-ის მიხედვით)</i>		
ადგილმდებარეობა:	ადიგენის მუნიციპალიტეტი	
რაიონი ან აეროდრომი		

გვერდითი ზომები	413520N 0423749E - 415622N 0423940E - clockwise arc, radius 14.0 NM, centered at 414514N 0425102E - 415447N 0430444E - 413837N 0430313E - 413805N 0430310E - 413422N 0430249E - clockwise arc, radius 14.0 NM, centered at 414514N 0425102E - 413124N 0424805E - along the state border with Turkey - 413520N 0423749E
<i>(მიუთითეთ რადიუსი ან ცნობილი თავისებურებები ან გეოგრაფიული კოორდინატები WGS-84-ის მიხედვით)</i>	
ვერტიკალური ზომები	GND-UNL
<i>(მიუთითეთ ქვედა და ზედა საზღვრები, ფუტებში; ზღვის საშუალო დონიდან: AMSL ან მიწის ზედაპირიდან: AGL)</i>	

4. მმართველი ორგანო, დადგენილი ორგანო ან სმმ-ს ორგანო

ორგანო	სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორია
<i>მმართველი ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია ამ არის ექსპლუატაციაზე</i>	
საჭაერო სივრცესთან დაკავშირებით საკონტაქტო პირი: პირი/თანამდებობა	ალექსანდრე თევზაძე / დირექტორი
საკონტაქტო ინფორმაცია	577 777 010 atevzadze@abao.ge
სიხშირე (არსებობის შემთხვევაში)	

5. კონსულტაცია და სხვა ინფორმაცია

კონსულტაცია: საფუძველი ან შეთანხმება და მოლაპარაკება საჭაერო სივრცის სხვა შესაბამის მომხმარებელთან <i>(აუცილებლობისას, ცალკე ფურცელზე)</i>	
---	--

6. ამოქმედების თარიღი

ამოქმედების თარიღი: სავარაუდო ან დაზუსტებული თარიღი. <i>(გათვალისწინებული უნდა იყოს პერიოდი, რომელიც საჭიროა კომიტეტის მხრიდან წარმოდგენილი ინფორმაციის განხილვისთვის, დადგენილების ცვლილების პროექტის მომზადებისა და მთავრობის მხრიდან მისი დამტკიცებისთვის. სავარაუდო პერიოდი უნდა იყოს მინიმუმ 6 თვე განაცხადის გაგზავნიდან)</i>	2026 წელი
--	-----------